ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 137

ქალაქი ქუთაისი 15 ნოემბერი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ2 ქუთაისს“ (საიდენტიფიკაციო კოდი № 404537756) შორის 2017 წლის 15 ივნისს გაფორმებული № 21 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებისა და საინვესტიციო ვალდებულების ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ და „დ.ლ“ ქვეპუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 ნოემბრის №44–442231580 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ2 ქუთაისს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №404537756) შორის 2017 წლის 15 ივნისს გაფორმებული №21 ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის 2024 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელებისა და საინვესტიციო ვალდებულების 6 000 000 .00 (ექვსი მილიონი) ლარის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ2 ქუთაისს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №404537756) შორის 2017 წლის 15 ივნისს გაფორმებული №21 ხელშეკრულების მე-3 მუხლს დაემატოს 3[1] მუხლი შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 3[1].** მხარეები თანხმდებიან, რომ 2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ2 ქუთაისს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №404537756) შორის 2017 წლის 15 ივნისს გაფორმებული №21 ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული ინვესტიციის მიზნებისათვის, მყიდველის მიერ განხორციელებული ინვესტიცია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბიდიო აუდიტის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №205145403) მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით შეადგენს 4 429 709.00 (ოთხი მილიონ ოთხას ოცდაცხრამეცხრაას მეცხრე ცხრა) ლარს, დღგ-ს გარეშე.“

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
მას. № 236
16. 11. 22

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

მუხლი 3. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ2 ქუთაისს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №404537756) შორის 2017 წლის 15 ივნისს გაფორმებულ №21 ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია